საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4364
07/06/2023

4364-21-2-202306071642

შპს „ტიმეოს“
მის: ვაჟა-ფშაველას №51
ელ. ფოსტა: environmental.sc4@gmail.com
georgesermon1@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4004 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წილკანში ლოკოკინების გადამამუშავებელი საწარმოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (სამი ერთეული) ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი როგორც საწარმოო, ისე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს გამავალ არხში, რომელიც უერთდება მდ. ნარეკვავს. აღნიშნული არხი

არ წარმოადგენს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ბალანსზე რიცხულ სამელიორაციო არხს“. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული არხის მესაკუთრის და მასთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო